1890 წელსა, № 14 30 ივლისს.

ႼႷႤႫႱႨ

ოფიციალური განყოფილება საქართველოს საექსარხოსოისა.

უმაღლესი ბრძანებანი.

I. შესახებ ახალი კანონებისა საეკკლესიო სანთლის მომზადებისა და გასყიდვისა გამო.

სახელმწიფო რჩევამ, სახელმწიფო ეკონომიისა და კანონთა შეერთებულ დეპარტამენტებში და საზოგადო კრებაზე, განიხილა რა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის წარდგინება საეკკლესიო სანთლის მომზადებისა და გასყიდვის შესახებ, **დაადგინა:**

ქვემდებარე კანონთა შესაცვლელად და **დასამატებლად დადგენილ იქმნეს:**

1) საეკკლესიო სანთელი მომზადებულ იქმნეს ფუტკრის წმიდა ცვილისაგან. შენიშვნა. საეკკლესიო სანთლის გარეგანი ნიშნების აღწერა დგინდება სასულიერო უწყებისაგან, ფინანსიის მინისტრთან შეთანხმებით და უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორისაგან ედგინება უმმართებელეს სენატს საყოველთაო გამოსაცხადებლად. 2) ქარხნებიდგან საეკკლესიო სანთლის წაღება და ნარდად გასყიდვა უნდა მოხდეს მთელი დაბეჭდილი პაჩკებით; თითოეულს პაჩკაში უნდა იქმნეს არა ნაკლებ ოცის გირვანქისა, პაჩკას ზემოდ უნდა ეკრას ბეჭედი ქარხნისა, სადაც არის მომზადებული სანთელი და გარედგან უნდა ეწეროს: «ცვილის საეკკლესიო სანთელი». 3) არავის არ შეუძლია საეკკლესიო სანთლის ცალ-ცალკე გასყიდვა გარდა ეკკლესიებისა, სასულიერო მთავრობის უწყების ქვეშე მყოფ საწყობებისა და დუქნებისა. 4) არ შეიძლება საეკკლესიო სანთელი მომზადდეს ეკკლესიაში სახმარებლად ფუტკრის ყალბი ცვილისაგან. როცა ამისთანა სანთელს ამზადებენ სახლში სახმარებლად, რიცხვით არა უმეტეს რვა ღერისა ერთ გირვანქაში, იგინი უნდა განსხვავდებოდნენ გარეგანი სახით და პატრუქის ფერით საეკკლესიო სანთლისაგან (პირველი მუხ. შენიშ.). 5) იმ პირთ, რომელნიც მოამზადებენ, შეინახვენ, ანუ გასყიდვენ ყალბი ცვილისაგან მომზადებულ სანთელს რიცხვით უმეტეს რვა ღერისა ერთ გირვანქაში და მასთან ეს სანთელი გარეგანი სახით და პატრუქის ფერით არ იქმნება განსხვავებული საეკკლესიო სანთლისაგან, თუ დამნაშავენი უფრო სასტიკ დასჯას არ ეძლევიან დასჯათა წესდების 173 მუხლის ძალით, რომელსაც ადებენ მომრიგებელი მსაჯულები, ხდებათ სასულიერო უწყების სასარგებლოდ ფული არა უმეტეს სამასი მანეთისა, მასთან მათ ჩამოერთმევათ უკანონოდ მომზადებული სანთელი, რომელიც გადაეცემა ეპარქიის მთავრობის განკარგულებაში. 6) საეკკლესიო სანთლის ქარხნებიდგან გამოტანის და ნარდად გასყიდვის კანონების დარღვევისათვის (მუხ. 2) დამნაშავეთ ხდებათ სასულიერო უწყების სასარგებლოდ ფული არა უმეტეს ასი მანეთისა. 7) იმ პირთ, რომელთაც არა აქვსთ უფლება საეკკლესიო სანთლის ცალ-ცალკე გასყიდვისა, ხდებათ სასულიერო უწყების სასარგებლოდ ფული არა უმეტეს ასი მანეთისა, მასთან მათ ჩამოერთმევათ ყველა საეკკლესიო სანთელი, რომელიც კი აღმოუჩნდებათ და ეს სანთელი გარდაეცემა ეპარქიის მთავრობის განკარგულებაში.—**ხელმწიფე იმპერატორმა** კეთილინება უმაღლესად **დამტკიცება სახელმწიფო** რჩევის აღნიშნული **აზრისა** მაისის 14-სა დღესა 1890 წელსა და ბრძანა აღსრულება.

ამასთან ერთად უწმიდესი სინოდისაგან მოხდენილ არს განკარგულება, რათა აღწერილ.

იქმნეს საეკკლესიო სანთლის გარეგანი ნიშნები, გამოსაცხადებლად საყოველთაო საცნობლად, თანახმად სახელმწიფო რჩევის ზემოდ აღნიშნული აზრის შენიშვნის 1 §-ისა.

II. გურია-სამეგრელოის ეპარქიაში სასულიერო წოდების დარიბთათვის სამზრუნველოის დაარსების შესახებ.

ხელმწიფე იმპერატორმა, 2 ივნისს 1890 წელსა, უმაღლესად კეთილინება დამტკიცება უწმიდესი სინოდის წინადადებისა გურია-სამეგრელოის ეპარქიაში სასულიერო წოდების დარიბთათვის სამზრუნველოის დაარსების შესახებ; მასთან სამზრუნველოის საზოგადო საშუალებათაგან გადიდოს კანცელარიის შესანახავად წელიწადში 250 მანეთი, აქედგან მდივანს მიეცეს 100 მანეთი, მწერლებს—100 მანეთი და კანცელარიის საჭიროებისათვის დახარჯულ იქმნეს 50 მანეთი.

15—23 ივნისიდგან 1890 წლისა № 132 უმაღლესად დამტკიცებულის 12 ივნისიდგან 1890 წ. ინსტრუქციის შესახებ ეკკლესიის მნათეთათვის ნაცვლად ინსტრუქციისა 17 აპრილიდგან 1808 წლისა.

უქაზისამებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უმართებელესმა სინოდმა მოისმინა: წინადადება უ. სინოდის ობერ-პროკურორისა, 14 ამა ივნისიდგან № 3003; 1) სახელობითი უმაღლესი უქაზი, რომელიც შესდგა ამა ივნისის მეთორმეტესა დღესა, და 2) ივნისის იმავე დღესა უმაღლესად დამტკიცებული უქვეშევრდომილესი მოხსენება სინოდისა ეკკლესიის მნათეთათვის ახლად გასწორებული და დამატებული ინსტრუქციის ხმარებაში შემოღებისა, ფიცის ფორმით, ნაცვლად ინსტრუქციისა, დამტკიცებულის 17 აპრილიდგან 1808 წლისა. ბრძანეს: აღნიშნულნი სახელობითი უმაღლესი უქაზი, უქვეშევრდომილესი მოხსენება სინოდისა და მათთან ერთად ინსტრუქცია ეკკლესიის მნათეთათვის აღნიშნულნი დამატებით დაბეჭდილ იქმნენ საყოველთაო საცნობლად «საეკკლესიო უწყებებში». ამასთან უწმიდესი სინოდი, მიმხედველი მისსა, რომ ეკკლესიის ზოგიერთი მნათენი, ღვთის-მსახურების დროს ეკკლესიაში არღვევენ მყუდროებას და წესიერებას მით, რომ ღვთის-მსახურების დროს ამოწმებენ ეკკლესიის ფულებს, და ხანდის-ხან ისეთის ხმაურობით, რომ ფულების ჩხრიალი, მლოცველთა შესაცდენად, გაისმის მთელს ეკკლესიაში, და ბ) ყულაბებით ფულებს ჰკრებენ იმისთანა შესანიშნავ წამს, როცა მლოცველთა ყურადღება არ უნდა იქმნეს დარღვეული არავითარი გარეგანი მოვლენით, და მიმხედველი მოციქულის დარიგებისა, რათა ეკკლესიაში **ყოველივე მშვენიერად და წესიერად იქმნებოდინ** (ა კორინ. 14, 40), საჭიროდ ცნობს: ა) აღკრძალოს ყველგან, ყველა ეკკლესიებში ღვთის-მსახურების დროს საეკკლესიო ფულების შემოწმება და ყულაბით ფულის შეკრება წირვაზე სახარების კითხვის, «რომელნი ქერუვიმთა»-ს გალობის და წმ. ძღვენთა კურთხევის დროს, ბ) აღკრძალულ იქმნეს ყულაბით ფულების მოკრების დროს პატარა ზარების ხმარება; გ) დაედგინოს ეკკლესიის მნათეებს აუცილებელ მოვალეობად, რათა ლანგრები და ყულაბები, რომელნიც იხმარებიან ეკკლესიაში ფულების მოკრეფის დროს, აგრეთვე სანთლის ყუთის ზემო ფიცარი, საიდგანაც ხდება სანთლის გაყიდვა და ფულების დახურდავება, დაფარულ იქმნენ მაუდით, ანუ სხვა შესაფერი ქსოვილით და რომ თვით ფულის დახურდავება მოხდეს სიჩუმის დაცვით; დ) აღნიშნულ მოთხოვნილებათა აღსრულების თვალყურის გდება ვალად დაედგინოს ეკკლესიებში უფროს სამღვდელოებას, მონასტრებში—წინამძღვრებს, ხოლო დედათა საზოგადო საცხოვრებელ ადგილებში—დედათა უფროს ქალსს; რაიცა, ჯეროვანის აღსრულებისათვის, გამოეცხადოს სასულიერო უწყებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია

ეკკლესიის მნათეთათვის.

---

1) ეკკლესიის მნათე არის მრევლის ვექილი, რომელსაც ირჩევენ თითოეულს მრევლში, რომ მან ეკკლესიის კრებულთან ერთად შეინახოს, დაიცვას და მოიხმაროს ეკკლესიის ფულები და ეკკლესიის ყოველივე ქონება ბლაღოჩინის და ეპარქიის მთავრობის ახედველობის და ხელმძღვანელობის ქვეშე.

2) ეკკლესიის მნათეები, ეპარქიის მთავრობის ნება-რთვით, შეიძლება ამორჩეულ იქმნენ ზედ მიწერილი ეკკლესიებისათვისაც, რომელთაც საკუთარი კრებული არა ჰყავთ, თუ კი ამ ეკკლესიებში სრულდება ღვთის-მსახურება, აქვს საკუთარი ქონება და თუ მათში დამოუკიდებლი ეკკლესიის გარეშე აწარმოებს საკუთარი მეურნეობა.

3) იმ ეკკლესიებისათვის, რომელნიც არსებობენ სახელმწიფო, საზოგადო და საქველმოქმედო სხვა და სხვა დაწესებულებათა სახლებში, მნათეებს ირჩევენ იმ კანონების ძალით, რომელნიც დადგენილნი არიან ამ ეკკლესიებისათვის, მაგრამ ამ მნათეებს თანამდებობაზედ ამტკიცებს ეპარქიის მთავრობა.

4) სასახლის ეკკლესიებისათვის, რომელნიც აღშენებულნი არიან და ინახებიან კერძო პირთა საშუალებით, აგრეთვე სამლოცველო სახლებისა და ეგუტერებისათვის, რომელნიც მიწერილნი არიან ეკკლესიებზე, განსაკუთრებითი მნათეებს არ ირჩევენ.

5) ეკკლესიის მნათე თავის მოვალეობის აღსრულების დროს ხელმძღვანელობს როგორც ამ ინსტრუქციის კანონებით, ისე იმ დადგენილობათა ძალით, რომელნიც კი გამოცემულნი არიან სასულიერო უწყებისათვის; ამასთან ის ყოველივე თავის მოქმედებაში ემორჩილება ეპარქიის მთავრობის განკარგულებათა, რომელნიც გამოცხადებულ იქმნებიან ჯეროვანის წესით.

6) ამ დარიგებათა განმარტება, დამატება და შეცვლა შეუძლია უწ. სინოდს.

7) ეკკლესიის მნათედ ამორჩევიან პირნი, მექონენი არა ნაკლებ 25 წლისა შობიდგან, რაც შეიძლება წერა-კითხვის მცოდნენი, რომელნიც ცნობილნი არიან სამრევლოში თავისი ქრისტიანული კეთილ-ცხოვრებით და წმ. მართლ-მადიდებელი ეკკლესიისადმი სიყვარულით.

ეკკლესიის მნათედ არ შეუძლიათ იყვნენ:

1) მწვალებელნი;

2) რომელთაც არ უთქვამსთ აღსარება და არ ზიარებულან;

3) რომელნიც იმყოფებიან გამოძიებასა და სამსაჯულოს ქვეშე რაიმე დამნაშაობისათვის, აგრეთვე მათ, რომელნიც უკანონო მოქმედებისათვის სამსაჯულოს განაჩენით დაპატიმრებულ იქმნენ საპყრობილეში, ანუ უფრო სასტიკ დასჯას მიეცენ.

4) გამორიცხულთ სამსახურისაგან სამსაჯულოს დადგენილობით ანუ გამორიცხულთ სასულიერო უწყებისა და წოდებისაგან დამნაშაობისათვის, ანუ გამორიცხულთ საზოგადოებათა და აზნაურთა კრებათაგან დადგენილობით, აგრეთვე მათ, რომელთაც მიატოვეს სამღვდელო ხარისხი;

5) შეუძლებელ მოვალეთ;

6) რომელნიც იმყოფებიან აპეკის ქვეშ თავის მამულის განმფლანგვისათვის;

7) მაგარი სასმელების ნაჭრად გამყიდველთ სამრევლოებში, რომელნიც მდებარეობენ ქალაქს გარეშე, აგრეთვე ამ მედუქნეების ნოქრებთ და მოურავებს.

და 8) სოფლის მამასახლისებს და მწერლებს, სანამდის ისინი ამ თანამდებობაში არიან.

8) სამრევლო ეკკლესიისათვის მნათეს ამორჩევის ნება აქვსთ მხოლოდ იმ სამრევლოში მცხოვრებ პირთ, მექონეთ არა ნაკლებ 25 წლისას შობიდგან, რომელთაც აქვსთ უფლება დაესწრნენ ადგილობით ქალაქის ანუ სოფლის საზოგადოების ანუ აზნაურობის კრებებზე.

9) მნათეს ამორჩევის უფლება აქვს ყველას პირადად და ამ უფლების ვექილობით გადაცემა არ შეიძლება.

10) ქალაქებში, მნათეს ამორჩევის დაწყებამდე, ეკკლესიის კრებული საეკკლესიო აღსარებითი წიგნებიდგან ადგენს მრევლთა სიას, რომელთაც ამ ახალი კანონების ძალით აქვსთ უფლება დაესწრონ ამორჩევებში. ეს სია, თუმცა მრევლონი ისურვებენ, წარედგინება მათ გადასახედავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11) არჩევის დღეს და საათს კრებული აცხადებს ეკკლესიაში მნათის არჩევის წინად სამ კვირა ანუ დღესასწაულ დღეს წირვის შემდეგ; გარდა ამისა, ქალაქებში ეკკლესიის კრებული აგზავნის წერილობით განცხადებას არჩევის შესახებ ადგილობით პოლიციის სამმართველოებში.

12) ბლაღოჩინთან შეთანხმებით, ეკკლესიის კრებული ნიშნავს მნათის არჩევას, რაც შეიძლება, წლის იმ დროს, როცა სამრევლოს უმეტესი ნაწილი იმყოფება თავის სამუდამო საცხოვრებელ ბინაზე. არჩევა სწარმოებს ტაძარში კრებულის თანადასწრებით და ბლაღოჩინისა ანუ მისი მოადგილის ზედამხედველობით.

13) არჩევაზე დამსწრე ბლაღოჩინის ანუ მისი მოადგილის მოვალეობას შეადგენს, რომ არჩევა სწარმოებდეს წესიერად, უყვირილად და უდავოდ, რომელიც არღვევს კეთილ-წესიერებას ტაძარში, და მასთან არჩევაში არ მიიღონ მონაწილეობა მთვრალმა და თანახმად § 8, უფლების არა მქონე პირებმა.

14) იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველნი ვერ მოთანხმდენ მათგან დასახელებული კანდიდატის ეკკლესიის მნათედ არჩევის საქმეში, არჩევა ხდება მაშინ გამოცხადებული ამომრჩევლების უბრალო ხმის უმეტესობით. ამ შემთხვევაში ირჩევა ორი კანდიდატი: პირველი და მეორე, რომელნიც მიიღებენ უმეტეს ხმას.

15) ეკკლესიის მნათის არჩევის შესახებ სდგება წერილობითი განაჩენი იმავე შეკრებილებაში, აქვე მოყვანილის ფორმისამებრ. განაჩენებას ხელს აწერენ ამომრჩეველნი, არჩეული, კრებული და ბლაღოჩინი, რომელიც ამ განაჩენებას უდგენს ეპარქიის მთავრობას განსახილველად და დასამტკიცებლად. ბლაღოჩინი მოახსენებს ეპარქიის მთავრობას, თუ რაიმე მიზეზისა გამო არ მოხდა არჩევა, აგრეთვე აცნობებს ამ კრებაზე მომხდარ უწესოებას.

16) იმ შემთხვევაში, თუ ეპარქიის მღვდელ-მთავარმა არ დაამტკიცა არჩეული პირი, ანუ არჩევა არ მოხდა, მაშინ, ამ კანონთა ძალით, ინიშნება ახალი არჩევა.

17) თუმცა განმეორებითი არჩევანიც არ იქმნა დამტკიცებული, ანუ თუ კიდევ არ შესდგა არჩევა, მაშინ ეპარქიის მღვდელ-მთავარს ნება ეძლევა მიანდოს მნათის თანამდებობის აღსრულება, ვიდრემდის ახალს არჩევდნენ დადგენილის წესით, ვინმე კეთილ-საიმედო პირს სამრევლოში, ადგილობითი კრებულის წარდგენილობით, ანუ, უკიდურეს შემთხვევაში, კრებულის ერთ რომელიმე წევრს.

18) ქალაქის უმრევლო ეკკლესიების სამღვდელოება, ბლაღოჩინის შუამავლობით, აცნობებს ქალაქის თავს სიას მნათის კანდიდატებისას, რომელთაგან ქალაქის საბჭო ირჩევს აღნიშნული ეკკლესიებისათვის მნათეებს. ქალაქების საბჭოთაგან არჩეულნი პირნი დგინდებიან დასამტკიცებლად ეპარქიის მღვდელ-მთავართან საზოგადო კანონების თანახმად. იმ შემთხვევაში, თუ საბჭომ სიაში დასახელებულ კანდიდატებში არავინ აირჩია, მაშინ ბლაღოჩინი ადგენს კანდიდატების ახალს სიას, და თუ ამის შემდეგაც არ მოხდა არჩევა, მაშინ ეპარქიის მღვდელმთავარი მოქმედებს თანახმად ამა ინსტრუქციისა § 17.

შენიშვნა: ეკკლესიის მნათის ასარჩევად საბჭოში იკრიბებიან მხოლოდ მართლ-მადიდებელნი ხმოსნები, ამ კრებაზე არ უნდა დაესწრნენ ხმოსნები მწვალებელთაგან, სხვა აღსარებისანი და არა ქრისტიანენი. იმ ქალაქებში, სადაც ქალაქის სამმართველო შესდგება უმეტესად არა მართლ-მადიდებელ აღმსარებელთაგან, ეკკლესიის მნათეს ირჩევენ ქალაქის მართლ-მადიდებელნი მცხოვრებნი, რომელთაც მოუწოდებს ქალაქის თავი.

19) ეკკლესიის მნათის თანამდებობაზე არჩეულმა პირმა უნდა მიიღოს ფიცი, ამასთანავე ნაჩვენები ფორმისამებრ, და მას უნდა ჩაბარდეს ერთი ცალი ამ ინსტრუქციისა.

20) მნათე ირჩევა სამი წლით და ამ ვადის გათავების შემდეგ, იგი შეიძლება არჩეულ იქმნეს, დადგენილი წესისამებრ, შემდეგი სამი წლისათვისაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მისთვის საჭირო არ არის ფიცის მიღება.

21) მნათე თავის თანამდებობაში ჩადგომის დროს ამოწმებს კრებულის თანადასწრებით ეკკლესიის ყოველივე ქონებას თანახმად სიისა და შესავალ-გასავლის წიგნებისა, და რაც აღმოჩნდება შემოწმების დროს, ამაზე სდგება საკუთარი ოქმი, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ ყველა დამსწრე პირებმა; ეს ოქმი ინახება ეკკლესიის საბუთებთან ერთად. თუმცა შემოწმების დროს რაიმე არ აღმოჩნდა, ანუ რაიმე გაფუჭებულია და სახმარად აღარ ვარგა, ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე აცნობებს მნათე ბლაღოჩინს, რომ მან თავის მხრით მოახსენოს ეპარქიის მთავრობას.

22) ეკკლესიის მნათის მოვალეობა არის: 1) ფულების შეკრება ეკკლესიის განზალაკში და ყულაბში, მიღება ყოველივე გვარი ფულისა, თანხისა და შეწირულებათა, რომელიც კი შემოდის ეკკლესიაში, მიღება შემოსავლისა, რომელიც შემოდის სანადელოდ გაცემული ადგილებიდგან, აგრეთვე მიღება ეკკლესიის ფულების სარგებლისა, მიღება ფასისა გვირგვინაკებისა და შესანდობ ლოცვებზე, დამარხვის დროს ხმარებულ ნივთებზე, სამარხ ადგილებზე და სხვ. 2) გაყიდვა წმინდა სანთლისა და ნამწვავისა; 3) ყიდვა, კრებულის ჩვენებით, ყოველივესი, რაც კი საჭიროა ეკკლესიისათვის: ზედაშისა, სეფისკვერისა, წმინდა სანთლისა, საკმეველისა, ზეითუნის ზეთისა, საეკკლესიო წიგნთა და სასულიერო ზნეობითი წიგნებისა ეკკლესიის წიგნთ-საცავის შესავსებად და სხვ. საგნებისა; 4) შესავალ-გასავლის წიგნების წარმოება, რომელიც, თუ მნათემ წერა-კითხვა არ იცის, მოვალეობად ედგინება კრებულის ერთ რომელიმე წევრს; 5) წესიერად დაცვა, განახლება და შევსება სალაროისა და ეკკლესიის სამკაულთა; 6) ყურის გდება, რომ კანკელი, ლამპადები და შანდლები იქმნენ წესიერად დაცულნი და სხვ., აგრეთვე ყურის გდება, რომ წესიერად დაცულ იქმნენ ეკკლესიის შენობანი, გალავანი, სასაფლაობები და ძეგლები; 7) ყურის გდება, რომ თავის დროზე თბებოდეს ეკკლესია, იყოს განათებული და წმინდათ დაცული, რომ ყველა მოსამსახურენი რიგიანად მოქმედებდენ ეკკლესიაში; 8) სახლების თვალყურის გდება, რომელნიც შეძენილნი არიან ეკკლესიის საშუალებით, ანუ რომელნიც სხვა რაიმე საშუალებით გახდენ ეკკლესიის საკუთრებად, როგორც კრებულის საცხოვრებლად, ისე ეკკლესიის სასარგებლოდ შემოსავლის მისაცემად, აგრეთვე ტყეების თვალ-ყურის გდება, სადაც კი არიან ასეთები, იმ პირობით კი, რომ ამ ტყეებში იჭრებოდეს შეშა მხოლოდ ეკკლესიის და კრებულის საჭიროების დასაკმაყოფილებლად და არა გასასყიდად; 9) ყურის გდება, რომ სამრევლოში არ იყიდებოდეს კანონის წინააღმდეგად თაფლის სანთელი, და 10) ყურის გდება, რომ მლოცველებმა არ დაარღვიონ წესიერება და მყუდროება როგორც ეკკლესიაში, ისე მის გარეშე, როცა ეკკლესიას გარს უვლიან ჯვრით.

შენიშვნა. ეკლესიის სალაროს და სამკაულთა ხმარება ღვთის-მსახურების დროს ხდება კრებულის უფროსის წევრის შეხედვით და განკარგულებით.

23) იმ ეპარქიებში, სადაც დაწესებულნი არიან ეპარქიალური სანთლის საწყობები, საიდგანაც ურიგდება ეკკლესიებს თაფლის სანთელი, საკმეველი და ზეითუნის ზეთი, ეკკლესიის მნათეებს ედგინებათ მოვალეობად, რომ მათ აღნიშნულნი საგნები მოიპოვონ მათდამი რწმუნებული ეკკლესიებისათვის მხოლოდ ამ საწყობთაგან, აგრეთვე ნამწვავი სანთლებიც ამ საწყობებს უნდა მიჰყიდონ.

24) საჭიროების დროს, ეკკლესიის მნათეს, კრებულის თანხმობით, შეუძლია მოიწვიოს მოსახმარებლად კეთილ-საიმედო პირნი, როგორც ეკკლესიის ყულაბთა ღვთის-მსახურების დროს ჩამოსატარებლად და თაფლის სანთლის გასასყიდად, ისე ეკკლესიაში სამსახურებლად და მნათის თანამდებობის აღმასრულებლად მისი ავად-მყოფობის ანუ რაიმე მიზეზისა გამო სხვაგან მყოფობის დროს.

25) ეკკლესიის განზალაკი და ყულაბი, აგრეთვე ყულაბი სასულიერო წოდების ღარიბთა ზედა ეპარქიალური სამზრუნველოის სასარგებლოდ უნდა ჩამოატარონ ეკკლესიაში ყოველ ღვთის-მსახურების დროს; სხვა ყულაბები კი, რომელნიც დადგენილნი არიან უწმიდესი სინოდის ნება-რთვით, უნდა ჩამოატარონ ან იმ დღეებში, რომელნიც მათთვის არიან დანიშნულნი, ანუ რიგისამებრ, მაგრამ თითოეულს რიგზედ არა უმეტეს ერთის ყულაბისა.

26) ფულები, რომელიც იკრიბება საეკკლესიო განზალაკებში, აგრეთვე რაც შემოდის გასყიდული სანთლისაგან და მიღებულნი კეთილ-მნებლობითი შემწირველთაგან, დაუყონებლივ, ღვთის-მსახურების გათავების დროს, უნდა ჩაჰყარონ ყუთში, რომელიც ამისთვის არის მომზადებული. ფულების ჩასაყრელი ყუთი უნდა იყოს დაკეტილი მნათესაგან და დაბეჭდილი ეკკლესიის ბეჭდით.

27) სანთლები და სანთლის ნამწვავი ინახება ცალკე ყუთებში, რომელნიც დაკეტილი აქვს მნათეს.

28) საზოგადოდ ყოველ გვარი კეთილმნებელობითი შესაწირავი, რომელსაც იღებს ეკკლესიის მნათე, წარედგინება კრებულის უფროს წევრს და შემდეგ იწერება, კუთვნილებისამებრ, ეკკლესიის სიაში ანუ შესავალ-გასავლის წიგნში.

29) ეკკლესიის მნათეს და კრებულს არა აქვსთ უფლება რაიმე მიზეზისა გამო წაიღონ და შეინახონ თავიანთ სახლში ეკკლესიის ფულები.

30) არავითარი საჭიროების გულისათვის არ შეიძლება ინახებოდეს ეკკლესიებში, ყულაბებიდგან

და ეკლესიის ყუთებიდგან გამოღების შემდეგ ორას მანეთზე მეტი. ამ თანხაზე მეტის შენახვა შეიძლება ეკლესიებში მხოლოდ, განსაკუთრებით, პატივ-სადებ მიზეზებისა გამო, ეპარქიის მღვდელ-მთავრის ნება-რთვით.

31) ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ფულები როგორც ნაღდი ისე სახელობითი % ქაღალდებით, რომელთაც კერძო კუპონების ფურცლები არა აქვსთ, ინახებიან ეკლესიების საწყობებში ანუ სალაროებში, რომელთაც ჰკეტავს მნათე და ბეჭდავენ ეკლესიის ბეჭდით. ᲐᲥᲔᲚᲐ ᲡᲮᲚᲐ % ქაღალდები იგზავნებიან შესანახად სახელმწიფო ბანკში ანუ მის ადგილობით კანტორებში და განყოფილებებში.

32) ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ნაღდი ფულები, უმეტეს მე—§ 30—ში აღნიშნულისა, იგზავნებიან სასარგებლოდ სახელმწიფო ბანკში და მის ადგილობით კანტორებსა და განყოფილებათა შინა, ანუ გამოიცულებიან უფრო სასარგებლო სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებზე ეკლესიის სახელით.

33) ᲐᲠ შეიძლება დატოებულ იქმნეს ეკლესიებში შესანახად ფულები, საბუთები და ნივთები, რომელნიც ეკუთვნიან როგორც მნათეს ისე კრებულს და სხვა პირთ.

34) ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ მნათეს, ეპარქიის მთავრობის ნება-დაურთველად, მაგრამ უსათუოდ კრებულის თანხმობით, შეუძლია მოახდინოს შემდეგი ხარჯი: Ა) ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲘᲡ საჭირო საგნების შესაძენად; Ბ) ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲨᲕᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲘᲡᲐ, როგორც მაგალითად შეშის სყიდვის თაობაზე ეკლესიის გასათბობად, ისე მიცემა ჯამაგირებისა სეფის კერის მკეთებელისა და დაქირავებულ მოსამსახურეთათვის, მიცემა ქალაქის საბჭოს სასარგებლოდ გადასახადისა საეკლესიო სახლებზე, რომელნიც შემოსავალს იძლევიან და სხვ. და Გ) ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲗᲐ ᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲐᲓ ᲓᲐᲪᲕᲐ: ᲝᲠᲘᲕᲔ ᲡᲐᲢᲐᲮᲢᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲗᲔᲓᲠᲝ ᲡᲝᲑᲝᲠᲘᲗᲐᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲛᲓᲔ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲨᲘ 150 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲨᲘ 50 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲛᲓᲔ ᲬᲚᲘᲗᲬᲐᲓᲨᲘ. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲗᲐ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲔᲓ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲜᲐᲗᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲓᲚᲔᲚᲝᲛᲩᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲜᲔᲑᲐ-ᲠᲗᲕᲐᲡ.

35) ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲠᲘᲡᲘᲛᲔ ᲒᲐᲓᲐᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲪᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲣᲚᲐᲓ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲓ ᲙᲐᲜᲙᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲗᲐ ᲐᲦᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲡᲐᲛᲠᲔᲚᲝᲡᲘᲡ, ᲔᲒᲣᲢᲔᲠᲘᲡᲐ, ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲒᲐᲚᲐᲕᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲘᲗᲨᲘ ᲣᲡᲐᲗᲣᲗᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲜᲔᲑᲐ-ᲠᲗᲕᲐ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲘᲡ მთავრობისა, რომელიც, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲒᲜᲘᲡ შესახებ არსებულ დადგენილობაებით.

36) ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲜᲐᲗᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲜᲔᲑᲐ-ᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲗᲐ ᲐᲦᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲗᲣ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲐᲜᲮᲚᲝᲑᲐ ᲛᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ (§§ 8 ᲓᲐ 9), ᲓᲐ ᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲮᲔᲚᲘ ᲣᲬᲔᲠᲘᲗᲐᲗ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲬᲠᲔᲛᲚᲘ ᲞᲘᲠᲗ, ᲓᲐ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲜᲬᲠᲐᲮᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲗᲐ ᲐᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ ᲡᲐᲮᲔᲨᲘ ᲘᲛᲘᲥᲛᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲐᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲨᲘ.

37) ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲔᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲗᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲗᲝ ᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲐᲓ, ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

38) ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ-ᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲣᲚ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐᲛᲝ, ᲐᲜᲣ ᲐᲦᲭᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲘᲛᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲨᲔᲡᲐᲬᲧᲔᲕᲔᲚᲘᲡᲐᲓ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲡᲐᲛᲠᲔᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲠᲔᲚᲝᲡᲘᲡ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲜᲓᲐᲗ ᲨᲔᲘᲜᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲣᲛᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲗ ᲣᲨᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘ ᲰᲧᲝᲜ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲑᲘᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘᲗ, ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲗᲐ-ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲑᲘᲗ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ-ᲠᲗᲕᲐ.

39) ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲤᲣᲚᲔ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გასესხება შეიძლება მხოლოდ კრებულის და მნათის პასუხის გებით, რომ თავის დროზე გადახდილ იქმნება სესხი, და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროა სხვა ეკკლესიების საჭიროებათა, ანუ კრებულის უკიდურეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, იმ პირობით კი, რომ სამას მანეთამდე სესხის გაცემის შესახებ გამოთხოვნილ იქმნების ნება-რთვა ეპარქიის მღვდელ-მთავრისა, ხოლო ამაზე მეტი სესხისაზე—უწმიდესი სინოდისა.

40) Dანარჩენი ფულები, რომელიც იკრიბება სხვა-და-სხვა დაწესებულებათა სასარგებლოდ, იგზავნებიან იმ ადგილებში და იმ ვადაზე, რომელნიც ნაჩვენები არიან ამ გარდასახადთა შესახებ დადგენილობათა შინა.

41) Tითოეულის თვის გათავების შემდეგ, ახალი თვის პირველი შვიდი დღის რომელიმეში უნდა გამოჰყარონ ყუთებიდგან და ყულაბებიდგან შეკრებილი ფულები, რომელნიც, ჯეროვანის ანგარიშის შემდეგ, იწერებიან ზონრიან შესავალ-გასავლის წიგნში. ამავე დროს ხდება შემოწმება წარსული თვის შემოსავლისა და გასავლისა, რომლის დროს შესავალ-გასავლის წიგნში გამოუყვანილი ჩაწერილი ფულები და თანხები შემოწმებულ უნდა იქმნენ ნაღდ ფულებთან.

42) წინანდელი § 40-ით ნაჩვენები გამოყრა ფულებისა და შემოწმება შემოსავლის და გასავლის ფულებისაც ხდება თანადასწრებით კრებულისა, მნათესი და სამრევლოს ორი წარმომადგენელისა, რომელთაც ყოველ წლობით ირჩევს მრევლი იმ პირთაგან, რომელნიც აკმაყოფილებენ § 7—ის მოთხოვნილებათა.

43) Dღე და საათი ფულების გამოყრისა და შესავალ-გასავლის შემოწმებისა წინ და წინვე უნდა აცნობოს კრებულმა სამოევლოთა წარმომადგენელთ.

44) საჭიროების დროს, ფულების გამოყრა ყულაბიდგან და უჯრებიდგან შეიძლება მოხდენილ იქმნეს მე-§ 42-ში ნაჩვენებ პირთა თანადასწრებით, თვის გათავებამდისაც, მაგრამ ფულები ამავე დღეს უნდა ჩაიწეროს წიგნში.

45) შესავალ-გასავლის (§ 40 ყოველ თვიური შემოწმების შედეგი იწერება შესავალ—გასავლის წიგნში, რომელზედაც ხელს აწერენ შემოწმებაზე ყველა დამსწრე პირნი და აღნიშნულ უნდა იქმნეს თვის რიცხვი, როდესაც მოხდა შემოწმება.

46) Iმ შემთხვევაში, თუ შესავალ-გასავლის შემოწმებაზე არ გამოცხადდა ერთი ან ორივე წარმომადგენელი სამრევლოისა, შემოწმება არ ბრკოლდება, მაგრამ ამ წარმომადგენელთა გამოუცხადებლობა ყოველთვის უნდა იწერებოდეს შესავალ-გასავლის წიგნში.

47) შესავლის და გასავლის ზონრიანი შესავალ-გასავლის წიგნში ჩაწერისა და, წლის გამთავეს, ანგარიშების შედგენის დროს მნათეებმა უნდა იხელმძღვანელონ არსებულ დარიგებაებით და ანგარიშის ფორმებით, რომელნიც დამტკიცებულნი არიან უწ. სინოდის დადგენილობაებით 24 სეკტემბრიდგან და 8 ოქტომბრიდგან 1876 წ.

48) ბლაღოჩინები, ეკკლესიების დახედვის დროს, ამოწმებენ ეკკლესიის საბუთებს, ეკკლესიისადმი კუთვნილ თანხებს და ფულებს, აგრეთვე სალაროს, საეკკლესიო ჭურჭელთა და სხვა ქონებათა.

49) Iმ შემთხვევაში, თუ ბლაღოჩინმა შენიშნა შესავალ-გასავლის წიგნში რაიმე უსწორობა, ანუ რაიმე ნაკლებულობა ეკკლესიის სამეურნეო ნაწილის წარმოების შესახებ მოხდენილ განკარგულებათა შორის, იგი აძლევს კრებულს და მნათეს დარიგებას, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია უწინდელი წესები, არ არიან იგინი დაცულნი ანუ საზოგადოდ მოხდენილ არს რაიმე უკანონო მოქმედება და ნაკლებულოება კრებულის და მნათეს მხრით, იგი აცნობებს ეპარქიის მღვდელთ-მთავარს.

50) კრებული და ეკკლესიის მნათე, ვალდებულნი არიან წარუდგინონ ყველა საბუთები, შესავალ—გასავლის წიგნები და ეკკლესიის ქონება ბლაღოჩინებს ეკკლესიის დახედვის დროს, აგრეთვე ეკკლესიის შესავლის და გასავლის შემოწმების დროს ეპარქიის მღვდელთ-მთავრისაგან განსაკუთრებით ამ საქმისათვის დანიშნულ პირთ.

51) როგორც ბლაღოჩინი, ისე აღნიშნულნი პირნი, მათდამი წარდგენილი საბუთების, წიგნების და ქონების ჯეროვანის შემოწმების შემდეგ, ამოწმებენ ამ შემოწმებას თავისი ხელის მოწერით შესავალ-გასავლის წიგნში.

52) სამი წლის განმავლობაში მნათის თანამდებობის ერთგულად აღმასრულებელთ ეძლევათ, ამ თანამდებობიდგან დათხოვნის შემდეგ, ქებითი ფურცლები ეპარქიის მღვდელთ-მთავრისაგან ხელმოწერილნი.

53) Iსინი, რომელთაც იმსახურეს ეკკლესიის მნათის თანამდებობაზე სამჯერ სამი წელიწადი, იმ შემთხვევაში თუ ისინი აღრჩეულ იქმნენ მეოთხე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი წლისათვისაც, იდგინებიან დასაჯილდოებლად შესაფერად მათი წოდებისა და დამსახურებისა.

54) ბლეხები, ეკლესიის მნათედ მყოფობის დროს, თავისუფალნი არიან ყოველივე მუშაობისა და აგრეთვე ჯოხით დასჯისაგან.

55) საკათედრო სობოროების და სამრევლო ეკლესიების მნათეებს სატახტო და გუბერნიის ქალაქებში, თუ იგინი არ ეკუთვნიან გლეხთა წოდებას, ეკუთვნისთ მუნდირი მეცხრე კლასისა, რომელიც დადგენილია მართლ-მადიდებელი სასულიერო უწყებისათვის, ხოლო სობოროების და სამრევლო ეკლესიების მნათეებს მაზრის ქალაქებში და სოფლებში — მუნდირი მეათე კლასისა. გლეხებს, რომელნიც იქმნებიან ეკლესიის მნათედ აღრჩეულნი, ეკუთვნისთ განსაკუთრებითი, დამტკიცებული ნახატის თანახმად, კაბა.

56) მინც სამჯერ სამი წელიწადი იმსახურა ეკლესიის მნათის თანამდებობაზე ერთგულად და ეკლესიის სასარგებლოდ, მასს ეძლევის უფლება ატაროს, თანამდებობის შემდეგ, მისდამი მიკუთვნებული მუნდირი და კაბა.

57) მპარქიის მღვდელთ-მთავარს ეძლევა უფლება დადგენილის წესით წარადგინოს დასაჯილდოებლად, როგორც ეკლესიის მნათეები, ისე მრევლის წარმომადგენელნი, რომელნიც ესწრებიან ეკლესიის შესაფალ-გასავლის ყოველ თვეიურ შემოწმების დროს, განსაკუთრებითი მათი შრომისა და მზრუნველობისათვის, რათა გადიდებულ იქმნეს ეკლესიის შემოსავალი, აგრეთვე შემწეობისათვის სამრევლო ეკლესიის გამშვენებისა და აღმოჩენისათვის საშუალებათა, რათა უზრუნველ ჰყონ ადგილობითი კრებული ბინით და საზრდოთი.

58) მკლესიის მნათე, რომელიც არ აღასრულებს ამ ინსტრუქციის კანონებს და ეპარქიის მთავრობათა მოთხოვნილებას, ჯეროვანის ამაში დარწმუნების შემდეგ და როცა დარიგებაც უსარგებლოდ აღმოჩნდება, დაითხოვნების თანამდებობიდგან კონსისტორიის დადგენილობით, რომელსაც ამტკიცებს ეპარქიის მღვდელ-მთავარი. დამნაშაობისათვის, რომელთანაც შეერთებულია ეკლესიის ქონებათა ზარალი, ეკლესიის მნათე ეძლევა პასუხის ცემას კანონებში დადგენილის წესით.

დამატება მე-§ 19.

ფიცის ფორმა.

ჰე, ქვემორე სახელწოდებული, აღესთქვამ წინაშე წმ. სახარებისა და ცხოველს-მყოფელი უფლის ჯვარისა აღვასრულო ეკლესიის მნათის თანამდებობა, ინსტრუქციისა მებრ, ჩემდა მოცემულისა ბეჯითად, პატიოსნად, შიშითა ღვთისათა, საკეთილოდ წმ. ეკლესიისა და საცხონებლად ჩემი სულისა, მახსოს რა, რომ ამაში პასუხი უნდა ვაგო კანონისა და უფლისა ღვთისა საშინელსა განსჯასა მისსა. დასამოწმებლად ამა ჩემი აღთქმისა, ვეშთხევი სიტყვასა და ჯვარსა მაცხოვრისა ჩემისასა. ამინ.

დამატება მე-§ 15.

განჩინების ფორმა.

189 წელსა მარტის « » დღესა. ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი, მრევლნი (ამა-და-ამ ეკლესიისა, ამა და ამ მაზრისა ამა და ამ გუბერნიისა), შევეკრიბენით რა რიცხეთ ამდენი აღსარჩევად მნათისა ამა ეკლესიისა, აღვარჩიეთ ამ თანამდებობაზე ერთხმად ესე და ეს (ჩაწერილ უნდა იქმნეს წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი), ანუ ამდენი და ამდენი ხმის უმეტესობით პირველ კანდიდატათ ესე და ეს (წოდება, სახელი, მამის სახელი გვარი) და მეორე კანდიდატად ამა და ამდენი ხმის უმეტესობით ესე და ეს (წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი). რაზედაც შესდგა ეს განჩინი. აქ ხელი უნდა მოაწერონ: 1) აღმრჩეველებმა, 2) აღრჩეულებმა, (რომ თანახმა არიან მიიღონ ეკლესიის მნათის თანამდებობა), 3) კრებულმა (ამასთან თანა დაეესწარით) და 4) ბლაღოჩინმა (აღრჩევის სისწორით წარმოებას ეამოწმებ).

1890 წელსა, № 14 30 იულისს

მწყემსი

1883-1890

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თსუთმეტს და ოც-და-ათ რაცხვებში.

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თვით	5 მან.	12 თვით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამადრესით: *за Тебирилы, въ контору редакціи „Мицемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავთ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს

სტატიები შეიძლებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

გაუმაძღრობა და ამაო მისწრაფება მდიდრული და შეძლებული ცხოვრების მოსაპოვებლად.

ქრისტეს სწავლისა მებრ, კაცნი ვალდებულნი არიან, შეძლებისა-დაგვარ, შემწეობა და დახმარება აღმოუჩინონ ერთმანერთს, საჭიროების დროს. მაგრამ განა ეს დღეს საქმით სრულდება? ხშირად ვხედავთ, რომ თვითოეული ჩვენგანი ფიქრობს მხოლოდ თავის თავზე და არავითარ ყურადღებას არ აქცევს გაჭირვებაში და მწუხარებაში მყოფ თავის თანამოძმეთ. ხშირი მოვლენაა ისიც, რომ ზოგნი ჩვენგანნი, მტაცებელ მხეცებივით უყარაულებენ ერთი-ერთმანერთს, ეძებენ მოხერხებულს დროს, რომ თავიანთი მოძმე დაჩაგრონ და ხელიდგან გამოაცალონ, თუ რაიმე აბადია მასს; არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, ოღონდ როგორმე სიმდიდრე შეიძინონ მათ და ამავე დროს სრულიად ავიწყდებათ პატიოსნება, ზნეობა და საუკუნო ცხოვრება. ჩვენი გონების და ცხოვრების ასეთი მიმართულება ძლიერ საშიშია.

იმ კეთილ თვისებათ, რომელიც თანდაყოლილი აქვს ჩვენს ბუნებას და სარწმუნოებისა და სათნოების მადლიან თესლთ, რომელნიც დანერგულნი არიან ჩვენს გულში ქრისტეს სწავლით, სჩაგრავს და აჩრდილოებს ქვეყნიურ ცხოვრებაზე მუდმივი ფიქრი, ზრუნვა და მწუხარება, როგორც ამბობს თვით უფალი ივანეში მთესველზე: **სოფლ რომელი იგი ეკალთა შორის დათესეს, ესენ არს, რომელმან სიტყვაი იგი ისმინეს და ზრუნვამან ამის სოფლისამან და სიმდიდრემან სიმდიდრისამან შეაშთვეს სიტყვაი იგი და უნაყოფო იქმნეს** (მათ. 13, 22). მუდმივი შრომა და ზრუნვა ქვეყნიურ ცხოვრებაზე— ცხოვრების საშუალებათა ზედა, ერთგვარად დამღუპველნი არიან ყველა კაცთათვის, როგორც მდიდართა და ღარიბთათვის, ისე ძლიერთა და სუსტთათვის.

მრავალთა პირთა შრომა და ზრუნვა ქვეყნიური ცხოვრების გაუმჯობესობისა და სიმდიდრის შეძენის შესახებ ხშირად კიდეც გვერგვინდება და თითქმის ასეთნი პირნი აღწევენ თავიანთ მიზანს ერთი ამ გვარი კაცის ცხოვრება აღწერილი არის უფლის იგავში მდიდარზე. მდიდარს ჰქონდა მრავალი ყანები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც დიდი მოსავალი მისცეს პატრონს; ეს მდიდარი იმავე კმაყოფილებით და სიამოვნებით დაიარებოდა თავის ყანების დასახედავად, როგორი სიამოვნებით და კმაყოფილებითაც მრავალნი ჩვენგანნი ათვალიერებენ თავიანთ სარგებლიან ბილეთებს და ცდილობენ, რომ მეტი სარგებელი შემოუვიდეს მათ გასესხებულ ფულებზე. იგავში მოხსენებული მდიდარი აი რას ლაპარაკობს: „ეს ვქ�, დავარღვევნე საწყობნი ჩემნი და უფროსნი ავაშენნე, და შეიკიბნნ მუნ ყოველი ნაყოფი და კეთილი ჩემი და ვრქვა სულსა ჩემსა: სულო! გაქვს მრავალი კეთილი; დაუწყებული მრავალთა წელთა; განისვენე, ჭამე და სვენ, და იხარებდ. ჰრქვა მას ღმერთმან: უგუნურო! ამას ღამესა მოგიღონ სული შენი შენგან; ესე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს? ეგრეცა, რომელი იუნჯებდეს თავისა თავისთა და არა ღმერთისა მიერ განმსდიდრდებოდეს (ლუკ. 12, 18—21). ამ სიტყვებიდგან ნათლადა სჩანს, რომ მდიდარი მარტო თავის სიმდიდრეზე ფიქრობდა და სრულიად არ ახსოვდა თავის სული, ღვთის სასუფეველი და თავის საუკუნო დანიშნულება. რა შესძინა მას ამ სიმდიდრემ? ამ კაცის სიმდიდრე და დროებითი სიამოვნებანი იყვნენ მხოლოდ ახრდილი და საფრთხული, რომელთადმი ის მიისწრაფებოდა მთელი თავის სიცოცხლეში ასე უსარგებლოდ და ფუჭად. სიმდიდრის შეძენის ზრუნვაში მდიდარი კიდეც გარდაიცვალა. და გარდაიცვალა სწორედ იმ დროს, როცა მას სურდა ესარგებლა თავის სიმდიდრით, როცა მოიფიქრა დამტკბარიყო თავის შრომის ნაყოფით; სწორედ ამ დროს სიმდიდრემ მიატოვა იგი, განშორდა მასს და იგი წარსდგა ღვთის წინაშე შიშველი, მოკლებული სიმართლესა, კეთილ საქმეთა და ამის გამო იგი ვერ ეღირსა ღვთის სასუფეველსა.

ღღეს ხომ ბევრნი არიან ისეთნი, რომელნიც მუდამ სიმდიდრეზე ზრუნვენ და მარტო ქვეყნიურ ცხოვრებაზე ფიქრობენ. მთელი ღღე, ღილიდგან საღამომდის ისინი ზრუნვენ მარტო სიმდიდრის შეძენაზე. ყოველს ღღეს და წელს ელიან ისინი იმ დროს, როცა მათი სურვილი და ნატვრა შესრულდება და იწყებენ ფუფუნებითი ცხოვრებას და განისვენებენ მოუსვენარ შრომათაგან, მაგრამ დრო გადის, მათი ზრუნვა და შრომა კი ერთი ორად ორკეცდება და სიმდიდრეს და მოსვენებას ვერ აღწევენ. რატომ ხდება ეს? ეს შეიძლება განგვიმარტოს ჩვენ წინასწარმეტყველის ანგიას სიტყვებმა, რომელიც ამ წინასწარმეტყველმა უთხრა ებრაელებს: „სთესეთ მრავალი, და შეიკრიბენით მცირედ, ჭამეთ და არა განძღომად, ჰსუთ და არა სიმთვრალედ, გარე მოისხთ და არა განსთბით მათ მიერ, და შემკრებელმან სასყიდელთაგან შეჰკრიბა ნაკრაულად განზრეტილად. მოელით მრავალს, გამოდის მცირე“. რად შეემთხვეთ ებრაელებს ასეთი უბედურება? იმიტომ, იტყვის უფალი წინასწარმეტყველის პირით, რომ სახლი ჩემი მოოხრებულ არს, ხოლო თვითოეული თქვენგანი ცდილობს აშენებად სახლთა თვისთა (ანგ. 1, 6—7). ასეთივე ბედი მოელის ყველას, რომელნიც მუდამ ამა ქვეყნის ცხოვრებაზე ფიქრობენ; და სრულიად ავიწყდებათ, ანუ ძლიერ ცოტას ფიქრობენ ღმერთზე, რომელიც მომნიჭებელია ყოველივე კეთილისა, ავიწყდებათ პატიცი სცენ ღმერთს სარწმუნოების, სიყვარულის და სასოების კეთილი საქმეებით, ავიწყდებათ თავიანთი უმაღლესი დანიშნულება. ასეთნი პირნი, რასაკვირველია, არ არიან დარწმუნებულნი, რომ ღმერთი აკურთხევს მათ შრომას, შეეწევა მათ საჭიროების და გაჭირვების ჟამს. თუ ასეთი იმედი და სასოება არა აქვს კაცს, მაშინ მას არც თავის იმედი აქვს; ასეთ კაცს ძალა უსუსტდება; მისი შრომა ერთი ორად მძიმდება, იმბრძვის იგი თავის არსებობისათვის, მაგრამ უნაყოფო რჩება მისი შრომა. კიდევ კარგია, რომ ასეთი კაცი ბოლოს მაინც მოიგონებდეს ღმერთს და შეეევედრებოდეს იმასს, რომელმანაც რქვა: „მოგვეთ ჩვენდ უოველნი მაშრომელნი და ტვირთ მძიმენი და მე განგისვენნ თქვენ (მათ. 11, 28).

ბრიან ისეთი პირნიც, რომელნიც თუმცა ზრუნვენ ამა ქვეყნიურ ცხოვრებაზე და ცხოვრების საჭიროთ საგნებზე, მაგრამ ამავე დროს მათ არ ავიწყდებათ ღმერთი, თავისი სული, თავისი ბუნების უმაღლესი სულიერნი მისწრაფებანი, თავისი ცხოვნება და ღვთის სასუფეველი. იგინი ერთსა და იმავე დროს შესაძლებლად ხედვენ შეათანხმონ ამა ქვეყნიურ ცხოვრებაზე ზრუნვა და სულიერნი მისწრაფებანი. იგინი დარწმუნებულნი არიან, რომ ქვეყნიურ ცხოვრებაზე ზრუნვა მათ ვერ მოუშლის ღმერთზე ფიქრს და მათი სულისათვის საჭირო კეთილ საქმეებიის შესრულებას. მაგრამ ყოველთვის ვერ ვხედავთ ასეთ სასიამოვნო მოვლენას. განა ყველა კაცმა უწყის ის ჭეშმარიტი გზა, რომელსაც მიჰყავს

კაცი ღვთის სასუფეველში. საიდგან შეიტყობენ, იგინი, რომ ამ ჭეშმარიტ გზაზე სდგანან და მიილტვიან ღვთის სასუფეველისადმი? უფალი ამბობს: „თორ იგი ფრო არის ბჭე და საფირველი გზა, რომელი მიუვანებს ცხოვრებასა, და მცირენი არიან, რომელნი ეძებენ მას (მათ. 7, 14).

ამ სიტყვებიდგან ცხადათა სჩანს, რომ მცირენი ვლენან იმ გზით, რომლითაც შეიძლება შესვლა ღვთის სასუფეველში და საუკუნო ცხოვრებაში. კაცი ხშირად გულ-მხურვალედ ემსახურება ღმერთს, ხშირად ლოცვილობს, ცდილობს ღვთის მცნებათა მხურვალედ აღსრულებს, ხშირად ევედრება ღმერთს და ამიტომ ჰგონია, რომ მან კიდეც მიახწია ჭეშმარიტ გზას; მაგრამ კაცთათვის ძნელია უფლისაგან ნაჩვენები ბჭით სასუფეველში შესვლა; სწორედ ასეთ კაცებზე სრულდება უფლის სიტყვები: „რა ფართო გელმას, რომელმან მრეკას მე: უფალო! უფალო, შეგიდეს იგი სასუფეველსა ცათასა (მათ. 7, 21). სასუფეველი ცათა აიძულების, რომელნი აიძულებენ მას, მიიტაცონ იგი (მათ, 11, 12). იმ გზაზე საველელად, რომელსაც მიჰყავს კაცი ღვთის სასუფეველში, საჭიროა ძლიერი შრომა, სურვილი თავის თავის გასწორებისა და განკარგვისა, საჭიროა მოიპოვოს თავმდაბლობა და მოთმინება. საჭიროა, რომ იგი მუდამ მზად იქმნეს წინააღმდეგობა გაუწიოს თავის გულის სხვა და სხვა ვნებათა და სურვილთა, რომელნიც თან-შობილია ჩვენი ცოდვილიანი ბუნებისა. კაცმა უნდა გამოიჩინოს გამბედაობა და მოთმინება გაჭირვებასა და მწუხარებათა შინა, რომელთაც ხშირად მოგვევლენს ხოლმე ღმერთი, რათა ამით გაგვასწოროს და დაგვაყენოს ჩვენ ჭეშმარიტ გზაზე. ვინც ფიქრობს, რომ ამა ქვეყნიურ ცხოვრებაზე ზრუნვა არ აბრკოლებს მას აღასრულოს ღვთის სასიამოვნო საქმენი და იზრუნოს თავის სულის ცხოვნებისათვის, ვინც ფიქრობს, ემსახუროს ღმერთს და ამავე დროს ასიამოვნოს თავის ცოდვილი სხეულიც, ის არა სდგას მტკიცედ, მას ადვილად შეუძლია წაბორძიკდეს სასუფეველის გზაზე, ასცდეს ამ გზას რაიმე დაბრკოლების დროს და ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში და ჩაირიცხოს იმ მრავალთა რიცხვში, რომელთა შესახებ ამბობს უფალი: „ბრაგადი ეძებენ შესვლად, და ვერ ეძლონ (ლ. 13, 24).

საბედნიეროდ, არიან ისეთებიც, რომელთა გული აღესილია ღვთისადმი სიყვარულით; ასეთნი პირნი ერთგულად ემსახურებიან ღმერთს, ცდილობენ თავის თავის ცხოვნებას. იგინი ზოგიერთებსაკით არ იმართლებენ თავს, რომ ქვეყნიურ ცხოვრებაზე ზრუნვა და მუდმივი შრომა ხელს უშლის მათ ემსახურონ ღმერთს, იფიქრონ ღვთის სასუფეველზე და თავის სულის ცხოვნებაზე. ამა ქვეყნის მოყვარულთა და ურწმუნოთა თათვის დამლალავი, მოუსვენარი და მწუხარებით სავსე შრომა ჰკარგავს თავის ძლიერებას და თითქო სრულიად ჰქრება მათთვის, რომელნიც სარწმუნოებით იგონებენ უფლის სიტყვებს: „ნუ ზრუნავთ სულისა თქვენისათვის, რა სჭამოთ, და რა სვთ, ნუცა ხორცთა თქვენთათვის, რა შეიმოსოთ, ანუ არა სული უფრეს არს საზრდელისა, და გუამი ტანისა. ეხედეთ ფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესენ, არცა ჰმკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამა თქვენი ზეცისა ზრდის მათ, არაა უფრეს თქვენ უმჯობეს ხართ ფრინველთა. ნუ ზრუნავთ ხვალისათვის, რამეთუ ხვალინ ეზრუნოს თავისა თვისისა. კმა არს დღისა მის ბოროტება თვისი. (მათ. 6, 25, 26, 34). ამ აღთქმაში და დარიგებაში მრავალი სამხიარულო და საიმედოა. რა დიდი მოწყალებაა ჩვენთვის, როცა თვით უფალი ზრუნავს ჩვენთვის, ჩვენი ხვალინდელი დღისათვის, და ჩვენ შეგვიძლია დავენდოთ მხოლოდ უფალს!

ქეთილ-მორწმუნე კაცნი არ ეროდებიან შრომას, რადგან იციან, რომ კაცი შრომისათვის არის დაბადებული, რომ ღვთის ნებაა, რათა ეშრომოთ. მაგრამ მათი ზრუნვა და შრომა მარტო ამა ქვეყნიურ ცხოვრებაზე კი არ არის მიმართული; იგინი მარტო იმას კი არ ცდილობენ, რომ, რაც შეიძლება, მეტი სიმდიდრე მოიპოვონ და მერე უზრუნველად იცხოვრონ და მიეცენ განცხრომას; ცოტას ფიქრობენ, თუ ბევრს, მათ ახსოვსთ, რომ „ჰაა ერთისა არს სახმარ (ლუკ. 10, 41). მათ სწამთ უფლის სიტყვები: „ეძებეთ ჯერ სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ (მათ. 6, 33). ამის გამო, იგინი მზად არიან შესწირონ უფალს ყოველივე, რაც კი მათ ხელს უშლის ცხოვრების გზაზე აღასრულონ თავიანთი ვალი ღვთის წინაშე, როგორც ვალი სიყვარულისა და მადლობისა. მათ არ ეშინიათ საჭიროებისა და სილარიბისა: რადგან იციან, რომ უფალი არ დაუტოვებს მათ. ქეთილ-მორწმუნე კაცთა შეუძლიათ თავის ცხოვრებიდგან მოიყვანონ მრავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მაგალითი, თუ როგორ ეწეოდა მათ უფალი გაჭირვების დროს. მეფე და წინასწარმეტყველი დავითი, რომელმაც ბევრი ნახა და გამოსცადა ცხოვრებაში, ამბობს: ყრმა ვიყავ და დავბერდი და არა ვიხილე მართალი დაგდებული, არცა თესლი მისი მთხოვნელ პურისა (ფსალ. 36, 25). კეთილ-მორწმუნე კაცთ არ ეშინიათ არც მწუხარებისა და არც წვალებათა, ვინაიდგან უწყიან, რომ უფალი შეისმენს მათ ვედრებას მწუხარების ჟამს და რომ მრავლითა ჭირითა ჯერ არს ჩვენდა შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა (საქ. მოციქ. 14, 22). მათ უწყიან, რომ ქვეყნიურნი დროებითი წვალებანი არასფერი არ არიან იმ დიდებასთან, რომელიც მოელის ღვთის ძეთა ზეციურს სასუფეველში. დაბოლოს ჭეშმარიტ და კეთილ-მორწმუნე კაცთათვის ქვეყნიური წვალებანი და სიღარიბე ჰკარგვენ თავიანთ მნიშვნელობას, როცა წარმოიდგენენ ეს კაცნი, რომ ყოველი ჩვენი ქვეყნიური ცხოვრება არის წუთიერი, რომ ქვეყნიური დიდება, რაც უნდა დიდი იყოს იგი, მაინც ამაოა იმ საუკუნო ნეტარებასთან შედარებით, რომელსაც მართალნი დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველში.

ვლადიკავკავიდგან.

წმიდის გიორგის ძველი ეკკლესია ვლადიკავკავის მაზრის ქურთათის ხეობაში.

ქალაქს ვლადიკავკავიდამ 45 ვერსის მოშორებით, ქურთათის ხეობაში, სოფელს ძივლევისში არის ერთი ძველი ეკკლესია წმ. გიორგისა. ამ ეკკლესიაზედ არის ორი პატარა ზარი, ორივე გატეხილი. ერთი ზარა არის ძველი ფორმისა; მასზედ არის შემდეგი ზედ-წარწერა: „ჩვენ საქართველოს მეფემ არჩილმა შემოგწირე ზარი ესე ძივლევისის საჯვარეს განსამარჯვებლად ჩვენდა, ქკს, ტა». მეორე ზარი არის ახალი ფორმისა, ესეც შეწირულია საქართველოს მეფისაგან. ამ ეკკლესიაზე აი რა მიამბო მეთით ამ ძივლევისში მცხოვრებელმა ასის წლის მოხუცმა ოსმა სოსთე ქარნიაშვილმა: «ამ ეკკლესიის გალავანში იყო აღშენებული სახლი, რომელშიაც სცხოვრებდა სამი ქართველი ბერი. იგინი აღსრულებდენ წირვა-ლოცვას ამ ეკკლესიაში და მასთან უქადაგებდენ ხოლმე სახარებას ამ ხევში მცხოვრებთ. ერთს საღამოს აქ მცხოვრებმა ოსმა თავისის პატარა ბიჭის ხელით გაუგზავნა ამ ბერებს სამი ყველიანი ხაჭაპური და ერთი პატარა დოქი არაყი. ბერებმა მიიღეს ძღვენი და მადლობა შეუთვალეს გამომგზავნს; ბოლოს, როცა გასინჯეს ხაჭაპურები, არ მოეწონათ და ძაღლს მისცეს საჭმელად. პატარა ბიჭი წავიდა და უამბო თავის მამას, რომ ჩვენი ხაჭაპურები ძაღლს აჭამესო. ბიჭის მამას ეწყინა ეს ამბავი და სთქვა: „ნუ თუ ჩვენი ხაჭაპურები ძაღლის საჭმელად გახადესო». გაჯავრებული მოემზადა თოფ—იარაღით და იმ ღამეს სამივე ბერი იქვე უნდა დაეხოცნა. ამ კაცის ასეთი ცუდი განზრახვა შეიტყვეს ბერებმა და ტყეში დაიმალენ; მაგრამ მტერმა ნახა იგინი და სამივე დახოცა. ამის შემდეგ ამ ეკკლესიას თავის საკუთარი არც ბერი და არც მღვდელი აღარ ჰყოლია. ამ ეკკლესიის ზემოდ ოთხს ვერსზედ არის სოფელი ძალიაყავა, რომელშიაც სდგას პატარა, მაგრამ ლამაზი გუმბათიანი მთავარ-ანგელოსთ ეკკლესია.

დღეს წმ. გიორგის ძველს ეკკლესიას ოთხივე კედელი დარღვეული აქვს, მასში არ არის არც ტრაპეზი, არც სამკითხლო და არც კანკელი, რის გამო აღარც წირვა—ლოცვა სრულდება მასში. მაგრამ ეკკლესიას ძალიან დიდ პატივსა სცემენ როგორც ახლო-მახლო მცხოვრები ოსები, ისე სხვა ხეობაში და ბარში მცხოვრებნი. ეს ეკკლესია მდებარეობს წყლის პირად. წყლის და ეკკლესიის შუა გადის საურმე გზა. ზაფხულობით ამ გზით ბარის ოსები მირეკენ ხოლმე თავიანთ ჯოგებს მთაში. ამ გზაზედ გამვლელმა თვითოეულმა მეცხვარემ უნდა მიიტანოს ამ ეკკლესიის კარებთან თითო აბაზი და შესწიროს ხატს. აგრეთვე უკან დაბრუნების დროსაც თითო აბაზი შესაწირავი მიაქვს თვითოეულს. ავადმყოფის პატრონებისაგანაც დიდძალი შესაწირავი შემოუდის ამ ეკკლესიას. ავად-მყოფის პატრონები ხშირად სწირვენ ეკკლესიას ხარს და ცხვარს. ამასთან ეკკლესიას სწირვენ სამს ხაჭაპურს, არაყს და ერთ აბაზს ფულს; ჯვარის კაცები მიიღებენ ამ შესაწირავს, დალოცვენ თავიანთ-ებურად ავადმყოფს, საჭმელ-სასმელს თვითონ მიირთმევენ და ფულს ეკკლესიისთვის ინახვენ.

ამ ეკკლესიის დღესასწაული დღეს, ე. ი. გიორგობას, არ დარჩება ისეთი კომლი, რომელმაც,

სხვა შესაწირავის გარდა, არ მოიტანოს ერთი აბაზი, ანუ სამი შაური ფული და არ შესწიროს ამ ეკლესიას. შემოწირული ფულებიდგან გროვდება არა მცირედი თანხა, მაგრამ სამწუხაროდ ამ ეკლესიას სასულიერო მთავრობა ყურს არ უგდებს, რაისა გამოც მღვდელს ამა მრეველისას არა აქვს არავითარი უფლება ამ ძველს ეკლესიაზე და არც მისს შამოსავალზედ. ოსებს ჰყავთ თავიანთი ჯვარის კაცები, ისინი ინახავენ შემოწირულს ფულებს, ზოგს თვითონ იგინიე იპარავენ და ზოგს ინახავენ და როდესაც ამგვარად შეგროვდება რამოდენიმე თუმანი, იმასაც ქურდები იპარავენ ეკლესიიდგან.

ამ ორმოცი წლის წინედ დიდ ავდრიანობის დროს მდინარე, რომელიც გვერდზე ჩამოუდის ეკლესიას, მოდიდებულა; ეკლესიის ახლო ღელიდგანაც დიდი მეწყერი ჩამოსულა, თან ჩამოუტანია მრავალნი დიდროანი ქვები და სრულიად აუსიათ ხეები, რომელზედაც მიდის მდინარე, რის გამოც შეგუბებული წყალი შესულა ეკლესიაში და სრულიად თავამდის აუსია იგი. მახლობლად მცხოვრები ხალხი იქითა-აქეთ ბორგზე გაქცეულა და გადარჩენილა. ამბობენ, რომ ეკლესიაში ამ დროს წვრილად შეგროვილი ფული ყოფილა უმეტესს ასის თუმნისა და დაკარგულა. აქედგან სჩანს, რომ, უკეთუ ჩვენს სასულიერო მთავრობას მიექცია ამ ეკლესიისთვის ყურადღება და სამრეველო მღვდლის ზედამხედველობაში ყოფილიყო იგი, დღემდის ამ ეკლესიას ექმნებოდა რამოდენიმე ათასი მანეთი.

ამ ეკლესიის გალავანში შესვლა ყველას შეუძლია, მაგრამ თვითონ ეკლესიაში შესვლა კი ჯვარის კაცების მეტს არვის არ შეუძლია. მხოლოდ ამ კაცებს მიაჩნიათ თავიანთი თავი ღირსად. ამ ეკლესიაში ფიცის მიღება ძალიან ეძნელებათ ადგილობრივ ოსებს. მედიატორენი გაუჩენენ ხოლმე ამ ტაძარში ფიცს დამნაშავეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ვისმეს ბრალდება კაცის კვლა ანუ ქალწული ქალის გაუპატიურება. ფიცს გაუჩენენ არა მარტო სახარებაზე და ჯვარზე, ამასთანავე ბრალდებულს ამოაძრობენ ქარქაშიდგან ხანჯალს, მიიტანენ და დასდებენ ეკლესიის კარებთან. თუ ბრალდებული ფიციდა უმიშრად ეკლესიის კარებთან და წამოიღო თავისი ხანჯალი, მაშინ იგი დაამტკიცებს თავის სიმართლეს. და თუ ეკლესიის კარებთან მის ელას და ხანჯლის წამოღებას ვერ შესძლებს, მაშინ იგი ამტკიცებს თავის სიმტყუენეს და მედიატორენი დანაშაულობის შეხედულობისამებრ უჩენენ მასს სასჯელს.

მრავალ გზის მომხდარა ისეთი შემთხვევაც, რომ კაცის მკვლელს გამოსდგომიან მოსისხლენი მოსაკლავად; დამნაშავეს იმოდენი ურბენია, რომ მისულა ამ ეკლესიის გალავანში და აქ ეკლესიისათვის თავი შეუფარებია. მაშინ მოსისხლენიც, შიშისა გამო, ვეღარ ბედავენ ეკლესიის გალავანში შესვლას და თავს ანებებენ დამნაშავეთ.

წერილი რედაქტორთან.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში ამ ჩემს მცირე წერილს.

უწინდელს დროში ქართველები თავიანთ შეძლებას არ შურავდენ ეკლესიების და მონასტრების გამშვენებისა და შესაფერად შემკობისთვის. მაგრამ ჩვენ დღეს, დროთა ვითარებისა გამო, ვეღარ ვბაძავთ ჩვენს წინაშმართა. მაგრამ ამ ბოლო დროს ქართველებში აქა-იქ ჩნდებიან კეთილ-მორწმუნე პირნი, რომელნიც, შეძლებისა და გვარ, ცდილობენ ეკლესიების და მონასტრების გამშვენებას და შესაფერად შემკობას. ისე არ გამოვა თქვენი გაზეთის რომელიმე ნომერი, რომ მასში არ ეწეროს: «ამა და ამ პირთ ამდენი და ამდენი მანეთის სიდიერლი ნივთები შესწირეს ამა და ამ ეკლესიასო». სწორედ ასეთ-ასეთ-ფერად უნდა ჩვენთვალოთ ასეთი მოვლენა ჩვენში. ღვთის მადლით ამისთანა კეთილ-მორწმუნე პირებმა სამეურნაოდ ბანეს ბიბინეს თავი. ამ პირებში პირველი ადგილი უჭერია პატიოსანმეულს გენერალ-მაიორს თვ. ზურაბ უ. ჩოტუას, რომელმაც თავის სასახლის მახლობლად აღაშენა მშვენიერი ეკლესია და შესაფერად მორთო იგი შიგნით და გარედ. ამ ეკლესიის აღშენება და მორთვა ბ. ჩოტუას დაუჯდა რვა ათასი მანეთი. ეს ეკლესია აკურთხა ეფსტაფეთის ეპისკოპოსმა ეოკლად სამდვდელო ალექსანდრემ, რომელმაც აღმშენებელს გულითადი მადლობა შესწირა ამ კეთილი საქმისთვის. მრავალი ოჯახნი, რომელნიც დღემდის შტატის ეკლესიის

შორისა გამო მოკლებულნი იყვნენ ღვთის-მსახურების მოსმენას, დღეს დაიკმაყოფილებენ ამ ეკლესიაში ღვთის-მსახურებით.

ეს ეკლესია ეკუთვნის ბ. ჩოტუას ოჯახს, ამ ოჯახს ეკუთვნის ეფსტაფეთის ეკლესიის ეზოში ორი ეკლესია, ერთი ეკლესია ეკუთვნის ეფსტაფეთის ეკლესიას, ეს ეკლესია ეკუთვნის ბ. ჩოტუას ოჯახს. ეს

ფილებენ თავიანთ სულიერ მოთხოვნილებას. ჯეშმარიტად დიდი მადლობის დირსია ბ. ჩხოტუა ამ კეთილი საქმისთვის. მართალია, მას სელს უწყობს შეძლება, მაგრამ განა ტოტა ჩვენში შეძლებულნი ბირნი, რომელთაც, სუფლურად, ერთ კაბიკს ვერ გამოიღებიან ეკლესიის სასარგებლოდ! ღერთმა ინებოს, რომ ამ კეთილ საქმეში მიბაძვილი აღმოსჩენოდეს ბ. თავად ჩხოტუას.

ადგილობითი მისსიონერი.

ნეტარი მოხუცებული.

ნეტარ არს იგი მოხუცებული,
ვისაც სამშობლო თვისი უყვარდა
და მის ჯეროვანს წარმატებასა
ის ძალ-ღონესა თვისას სწირავდა,
ვის ცხოვრებაში მიზნად ჰქონდა
მშობა, ერთობა და სიყვარული,
და უმაღლესსა იდეალებსა
შესტრფიალებდა იმისი გული.
ვინც ავრცელებდა უმეცარ ხალხში
სწავლას და კეთილს სათნოებასა;
სიტყვით და საქმით მედგრად სდევნიდა
კაცისა გამრყვნელს ბოროტებასა.
ვის მამობრივი ტკბილი სიტყვები
კეთილ კაცის გულს სიამეს ჰფენდნენ,
ტანჯულს და ჩაგრულს შავი ბედისგან
ციურ იმედით გაამხნევებდნენ;
ციურ იმედით გაამხნევებდნენ
და ბოროტს კია მისი მხილება
ლახვარივითა გულს ესობოდა,
შეაძაგებდა გარყვნილებასა
და კეთილს გზაზედ დააყენებდა.
ნეტავი ასეთს მოხუცებულსა:
მისი სიკვდილი არს ნეტარება;
მის მიცვლილს სხეულს მოაძმის ცრემლები
ციურ ნამივით დაეწკუპება.
და განშანილი ამ ცრემლებითა
თუმც სამარეში ჩაიმარხება,
მაგრამ ქებული მისი სახელი
უხრწნელ გვირგვინით შეიმოსება.
და განწირული სულის კვეთება
ახალ-თაობას ნაყოფსა მოსცემს
და მისთვის წმიდა მცნებად გახდება.

იდ. ფურცე.

საისტორიო მასალა.

იმერეთის მეფის სოლომონის უკანასკნელნი დღენი.

(გაგრძელება *).

ჩასამედ კონსტანტინეპოლში წასვლაზე უარი სთქვეს. მეფეს სულთანის კარზედ წინააღმდეგები ჰყავდნენ და იმათ დასამშვიდებლად მოსახმარებელს ჯარზე სულთანი ფაშას არასფერს გამოცხადებულ ბრძანებას არ აძლევდა, მაგრამ ამასთანავე თუ კი გამოჩნდებოდნენ ისეთი მსურველები (ბაში-ბუზუკები, რომ სამეფოს დასცემოდნენ), ის არ დაბრკოლებდა. 4-დ ტახტის დაბრუნებაზე, მეუისთვის სულთანმა ასე გადასჭრა, ეიღრმდის რუსეთსა და ევროპას შუა რომელიმე პოლიტიკური შემთხვევა გამოჩნდებოდეს, მანამდის ამ საქმეს არა გაეწყობა-რაო და საცხოვრებლად მას ადილაქი ახლოში ეიუჩინა. ეს მოწყალე რეკრიპტი მან ერთს თვეის განმავლობაში მსახურთაგანს მიანდო და ის მეფე სოლომონთან გაგზავნეს. ორ თვე ნახევრის შიწერ-მოწერია შემდეგ ხსენებული სულთანის მსახური თვეის მინდობილებიანათ სტამბოლიდგან ქალაქ ახალციხეს მოვიდა და უნუგეშოთ მეფეფი მისი დიდებულება აშისთანა ამბით გაახარა და მწუხარე მდგომარეობიდგან გამოიყვანა. იმერეთის მეფე სულით და გულით გაკცხლდა; იმან წინანდელი მწუხარება დავიწყა, გამხნევდა და თვეის მოდალატე ქვეშევრდომების დასასჯელათ იმერეთის სამეფოსთან ომი მოინდომა.

*) ის. «მწყემსი»-ს № 13.

ახალციხის მთავარ-მმართველის ნებადართვით მან ახლათ შემოსულის რუსეთის ჯარის სატახტო ქალაქიდგან — ქუთაისიდგან გასალეველად მოუწოდა ოსმალებს, ვისაც ჰსურდათ, მეფის ჯარათ წასულიყენენ იმერეთს. ამ მოწოდების გამო გამოჩნდნენ მაჰმადიანნი ყოველი წოდების და ტომიდგან ქრისტიანების სისხლის მწყურვალენი, რომლებიც გაუბედურებულ მეფის შეველას კი არ ფიქრობდნენ, ჰაზრში ჰქონდათ მტაცებლობა, თავსდაცემა, ქვეყნის და ქრისტიანების აკლება და, თუ სიმდიდრე არა ტყვეების შოვნა მაინც. გასაკვირველია, როგორ დათანხმდა მეფე ამისთანა იმისი შეუდარებელ საქმეზე! სანამ ახალციხეში ჯარი შეიკრებებოდა, იმან იმერეთში ხალხს ასაშფოთებლად მთხრობლები გაგზავნა. ის ხალხს უთვლიდა, რომ პირველი არეულობის დროსვე, იმერეთში ჯარით გაეჩნდებიო. გაგზავნილმა მთხრობლებმა თავიანთი მინდობილება აასრულეს: იმათ ახალციხის მაზრასთან ახლო მდებარე სოფლები აეშფოთეს; მეფე პირველი არეულობის დროს ოსმალოს ჯარით მოვიდა და იმ სოფლებში შესვლის შემდეგ მასს ქუთაისისკენ გამგზავრება სურდა; იმერეთის ხალხი ორ მხარეთ გაიყო: ერთი იმათგანი მეფისაკენ იყო, მეორე კი რუსეთის ჯარს შეეერთდა და მეფეს მოსწერა, რომ მათ მისი იმერეთში ყოფნა არა ჰსურთ, იმერეთის საზღვრებს გაშორდეს, თორემ ისინი იმას წინააღუდგებიან, ყოველივე ღონისძიებას იხმარებენ და ოსმალეთშიდაც კი სიკვდილამდის არ მოასვენებენ. მეფემ ამისთანა წინადადება არ დაიჯერა და მოითხოვა ომი, რომელმაც იმერეთს საქმით ბევრი ენება მისცა: ოსმალოს ჯარს ჰირი გადმოჰყვათ და ამის გამო იმერეთში გაჩნდა ჰირი, რომელმაც ხალხი თითქმის ნახევრამდის გასწყვიტა. ეს იმერეთის გამოცდის წელიწადი საქართველოს ისტორიისათვის სახსოვარია. მეფემ ამ ომში ვერ გაიმარჯვა. რუსეთის ჯარმა ის დაამარცხა და დიდის მწუხარებით ახლციხეში დააბრუნა. ამ დროს მღვდელმა იესე ყანჩაველმა თავის სამშობლო დასტოვა და თავის მეფესთან უბედურს მდგომარეობაში სასამსახუროთ ახალციხეში წავიდა; ცოტა ხნის შემდეგ ის მეფეს და მისს მხლებელს ქალაქ აზრუმში წაჰყვა. აზრუმის ფაშამ ისინი ძალიან კარგათ მიიღო; მეფეს მშვენიერი სადგომი მოუმზადეს და მდიდრულათ აცხოვრეს, მაგრამ ამისთანა მოსვენებით მეფეს დიდხანს არ უცხოვრია, ამისთვის რომ მხედართ-მთავარმა ტორმოსოვმა ვერცხლის მოყვარე აზრუმის ფაშა (ვაალემინ) ხხვა და სხვა საჩუქრებით მოიყიდა, რომ იმას მეფე ყოველის მხრიდგან შეეეიწროებინა და მეფეს როგორმე შეენანებინა და საქართველოშიც დაბრუნებულიყო. ამის შემდეგ ფაშამ საქართველოს მხედართ-მთავრის თხოვნას პატივი სცა და მეფეს ნამეტან კეთილ-შობილურად აღარ ეპყრობოდა. უწინდელი სადგომებიდგან გამოიყვანა და თავის ხლებულით სადღაც ძველ კაზარმაში დააყენა; იქ ის შვიდ წელიწადს ზამთარში თოელისა და წვიმის ქვეშ იტანჯებოდა. მეფისთვის დანიშნული ხარჯიდგან და აგრეთვე ფულიდგანაც ნახევარს თავისთვის ინახავდა. შვიდმა წელიწადმა გაიარა, რომ მეფე თავის ხლებულით აზრუმის ფაშიდგან ათანაირი უკმაყოფილებას ითმენდა და ამისთანა აბეზარი ცხოვრებიდგან დაღალულმა ბოლოს დაიწყო ფიქრი, რომ როგორმე თავის მდგომარეობა იმის მფარველი სულთანისათვის ეცნობებინა, მაგრამ ვერასფერი ფიქრით და მოგონებით კაცისა ან წიგნის გაგზავნის ღონის-ძიება ვერ მონახა. შაშა კი საქართველოს მხედართ-მთავრის დარიგებით მას უკიდურესს ხარისხამდის ავიწროებდა. შემდგომ ის მ-თმინებიდგან გამოვიდა და ფაშას შეუტყობლად წასვლა დაუპირა: იმათ ცხენები შეკაზმეს და ტრაპიზონისაკენ წავიდნენ. როდესაც ფაშამ ეს ამბავი შეიტყო, მაშინვე მასთან იანიჩარის ჯარი გაგზავნა და სთხოვა, რომ შეეტყოთ, რა მიზეზით აბარგებულა მეფე და რად გამგზავრებულა, ისე რომ ჯერ სტამბოლშიაც არა იციან რა ამისი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

სოფლის ახალ-დაბის წმ. გიორგის ეკკლესიის მდვდელის იესე გაბელაშვილისაგან ჩვენ მიგიღეთ თუთხმეტი მანეთი და სამი ბაზრი, რომელიც მას შეუგრებია თავის სამრეველოში დაგთან აღმაშენებელის სასასფლოზე სამდოცეველოის განსასხვლებლად და წმიდა მოწამეთა დაგთან და კონსტანტინეს წმ. ნაწილთათვის გუბოს მოსაპოებლად.

* * *

სოფლის სუფაგის ტეის სამრეველო სკოლის მასწავლებელნი მღვდელი სიღლაბისტრო და მიტროფანე ხენდაძეები გულითად მადლობას სწერაენ თ. გრ. გურიელს და ნ. მარრის, რომელთაც ესენებული სკოლისათვის შეუწირავთ, პირველს 50 რეუული ხატვისა და ქართულის წერისა და ათი ცალი ხნეობითი შინაარსის წიგნაკი, ხოლო მეორეს — 15 ცალი დედანი ჯ. გაბაიჩაძისა.

Digitized by Georgian Union Library

გურიის სამეგრელოს ეპარქიიდგან ჩვენ მიგიღეთ გაზეთში დასაბეჭდად შემდეგი წერილი:

„ზემო ჩიბათის წმ. გიორგის ეკლესია ზოგიერთი კეთილი კაცების მეცადინეობით და მოღვაწეობით თან-და-თან აშენდება. ამ მოღვაწეთა შორის პირველი ადგილი უჭერიათ ამაგე სოფლის მცხოვრებთ ნიკოლაზ ავთანდილის ძეს და იგანე სპირიდონის ძეს ჯორბენაძეებს, რომელთაგან პირველმა თავის საკუთარის ხარჯით განახლა ხსენებული ეკლესია, მოიპოვა აშენებული კანკელი, შემოსწირა კანდელი, ოთხი დიდი ტრაპეზზე გადასაფარებელი ფარჩისა, აშენებერ ყდაში გაკეთებული სახარება, ორი ჯვარი, ერთი ეკლესიის გუმბათზე გასაკეთებელი და მეორე უფრო ძვირფასი თვლებით შემკობილი და ბარძიმ-ფეშხუმი თავისი დაფარნებით. ეკლეს შეწირულება ღირს 1500 მანეთზედ მეტი; მეორემ შემოსწირა ხსენებულს ეკლესიას ბაირაღები და სტეტხლური, ღირებული სამოც-და-ათ მანეთამდე. ალნიშნულ პირთ უგულითადეს მადლობას სწირავენ რა-გორც ზემო ჩიბათის წმ. გიორგის ეკლესიის კრებული, ისე ძრეკლნი. იმედი გვაქვს, რომ ამ კეთილ პირთ მომბაძეენი ალმოუჩნდებიან».

* * *

რაჭის მაზრის სოფლის კაზათის ეკლესიის კრებულისაგან ჩვენ მიგიღეთ შემდეგი წერილი:

«ბ. რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ თქვენს გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ბლეთ მადაქიას, სოსლან და მისეულ კრ. ნელიძეებს, ლეონა დოხნაძეს და ლეონა ბოროდაშვილს, რომელთაც ჩემდამო რწმენებულ ეკლესიას შემოსწირეს შემდეგი ნივთები: პირველმა შემოსწირა ტრაპეზზე დასადგმელი ორი ანდილი, ღირებული 8 მან. მეორემ—ბურის საკურთხი, ღირებული 10 მან., მესამემ—სტეტხლური, ღირებული 2 მ. 40 კ., მეოთხემ—სპილენძის ეპიზა, ღირებული 15 მან. და მეხუთემ სტეტხლური, ღირებული 2 მან. 40 კ.».

რედაქციის პასუხი.

ბლ. ალნდელაკს. კარგად კიცით, თუ რა უწესოდ დგება ხან-დის-ხან სოფლის ეკონომიის განაზენები. თქვენი სტატია არ აბეჭდება. ჩვენ არა ერთგზის გვითქვამს, რომ სახალხო სკოლების დირექტორებს არა აქვსთ უფლება სამრევლო სკოლის გახსნა ალუკრძალონ სამდგელოებასა; აკრეთვე არც ჩვენა გვაქვს უფლება სახალხო სკოლის გახსნა დაუშალოთ კისმეს.

ჩვენ მკითხველებს. ზოგიერთი ჩვენი მკითხველები გვთხოვენ შეკვეტობინოთ მათ, თუ რა დამოკიდებულება აქვს დეკანოზ კალისტოვს ჩვენს რედაქციასთან. კანონებით ამ პირთ, რომ ამას წინად დეკანოზი ნიკოლოზ კალისტოვი გვიგზავნდა ჩვენ კორრესპონდენტებს ჩვენს გამოცემაში დასაბეჭდად და ზოგიერთს მის კორრესპონდენტებს კიდეც ბეჭდავდით. სხვა არაეთარი დამოკიდებულება ჩვენს რედაქციას დეკანოზ კალისტოვთან არა აქვს რა და არც შემდეგში აქმნება.

შინაარსი: ოფიციალური ნაწილი: უმაღლესი ბრძანებანი.—განმანება უ. სინოდისა.—ინსტრუქცია მნეთოთეოვის.—არა ოფიც. ნაწილი: გაუმაძღრობა და ამაო მისწრაფება მდიდრული და შეძლებული ცხოვრების მოსაპოვებლად.—წერილი კალაბეკეკიდგან.—წერილი რედაქტორთან.—ნეტარი მოხუცებული.—სასტორილი მასალა.—ასალი ამბები ჩენი შენიშვნები.—რედაქციის პასუხი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე. *Дозв. цензурою Кутаисъ, 30 Іюля 1890 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) въ помѣщ. Кутаисѣ, въ домѣ бр. Хананoвыхъ на Нѣмецкой ул.